



ქ. ზუგდიდი

3 ივნისი 2016 წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

„მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლოატაციაში მიღების), სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის (მასში ცვლილებების შეტანის) მოსაკრებლის (მათ შორის დაჩქარებული მომსახურების) გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლოატაციაში მიღების), სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის (მასში ცვლილებების შეტანის) მოსაკრებლის (მათ შორის დაჩქარებული მომსახურების) გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის N31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge: 11/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.105.016177) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი №1-ის მე-4 მუხლს დაემატოს „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ის კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს;

ე) ამ მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი მოქმედებს 2016 წლის პირველ სექტემბრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მ/შ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე